

140
/ 383 / 2

ISSN 0138 - 5072



სიმბოლო

1
1983




„მზიური“ ოცნება

აცხადდა ნანატრი
 თბილისელ ნორჩების —
 განახლება კარიბჭე
 ქალაქმა ოცნების.
 რა კარგი დღე არი,
 რა შუქი ციური!
 ყაყაჩოს ცეცხლივით
 ბრიალებს „მზიური“,
 ხმინებს „მზიური“
 ხეების ალყაში.
 წერიალა ჰანგები...
 ცეკვა და თამაში...
 აქ თვალიც ისვენებს
 და გულიც ისვენებს.
 ისმინე: რა ამოდ
 დღუნუნებს ის ვერე,
 აქამდე უჩინრად
 ეულად მდინარი,
 ამიერ — საჩინო,
 ამიერ — მდიდარი.
 მდიდარი — ბავშვების
 ხმებით და ღიმილით,
 მკერდს დაეკერება
 მზე, ოქროს ღილივით.
 ...ჰქუხს ტაში —
 მიობრძანდნენ

ძვირფასი სტუმრები,
 მოზარდთა სვე-ბედზე
 ნიადაგ მზრუნველნი;
 უფროვე გაბრწყინდნენ
 ხევიც და ბორცვიებიც,
 უფროვე გალალდა
 მიდამო ნორჩების.
 და... ვხედავ მომავალს:
 იზრდება, შენდება
 მზიანი „მზიური“,
 თბილისის მშვევება;
 სავენი ხალისით
 და ცოდნის მარაგით,
 სწავლობენ, შრომობენ
 მკვიდრნი ამ ქალაქის.
 იმ ცისფერ მყობადის
 რეკენ დღეს ზარები,
 იმ ნათელ აისთა
 განისხნა კარები.
 ზეიმობს ოცნების
 ხატება „მზიური“.
 რა კარგი დარია,
 რა შუქი ციურის!..

სიმონ შაჰაჩიანი





17.463

და გაჩნდა ჰიონეზუღი ქალაქი

ასობით ჰიონეზა და კომპაგვი-
კელა მოიპარა თავი 1982 წლის
29 ოქტომბერს ბავშვთა კომპლექ-
სის „მჭირის“ პირველი რიგის გა-
სნაჲ. შეკრებილნი მკუხარე ტაშით
შეხვდნენ ქვირფას სტუმრებს, სკკ
ცენტრალური კომიტეტის გოლი-
ტირებს წავსს, სკკ ცენტრალუ-
რი კომიტეტის მდივანს კ. უ. ჩი-
ნენაშვილს და სკკ ცენტრალური კო-
მიტეტის პოლიტიკურებს წავსვრეს
ქალაქის, საქართველოს კომ-
პარტიის ცენტრალური კომიტეტის
პირველ მდივანს ე. ა. შუპარდიაშვილს,
საქართველოს კომპარტიის ცენტრ-
ალური კომიტეტის გიორგი წავს-
აშვილს და წავსვრეს ქალაქის
ჰიონეზაგა კაბაკი ჩაბაკის
სტუმრებს, ბავშვთა ფიცილი შე-
ლსახვევები.
ამხანაგაგა კ. უ. ჩიწენაშვილს და
ე. ა. შუპარდიაშვილს გავსს ფიცილი
ლუბი.
ამოქმედდა „მჭირის“ პირველი
რიგი.



ბავშვთა ფიცილი ბავშვთა ფიცილი ჰიონეზაგა



შესახვევებზე ბავშვებს სხვადასხვა ნაწარმების გიორგი ქალაქი.

1926 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განყოფილება

ჰიონეზი

I იანვარი 1983



ეს იყო შვიდიოღ წლის წინ. მწერალმა ნიოდრ დუმბაძემ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ ფურცლებზე გამოთქვა საქართველოს ბავშვებისათვის ქალაქის აშენების იდეა. რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობა ერთსულეოვანი მოწონებითა და მხარდაჭერით შეხვდა მას. კამათსა და აზრთა გაცვლა-გამოცულის პროცესში გამოიკვეთა მომავალი ქალაქის დანიშნულება და ფუნქციები, შემდეგ გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული. ბავშვთა საოცნებო ქალაქის აშენების საქმეს სათავეში საქართველოს კომკავშირი ჩაუდგა და მისთვის ჩვეული მზაყოფნით, ენერგიითა და ენთუზიაზმით შეუდგა დსახელის განხორციელებას.

გასულ გაზაფხულზე ჩაეყარა „მზიურს“ საფუძველი და სულ რაღაც ექვსიოღ თვის შემდეგ, ოქტომბერში კი საზეიმოდ გაიხსნა მისი პირველი რიგი. ბავშვთა მრავალმონანმა ერთამულმა გაახალისა ჩამყულ-როებული ვერეს ხეობა, მეტე და მეტე ეს ერთამული ზევით და ზევით გავრცელდება და მოკლე ხანში მთელ ხეობას მოედება ვიდრე ბეთანიის მონასტრამდე. და თუმცა ჭერ-ჭერობით მწყობრში ბავშვთა ამ გამაჯანსაღებელ-ღმრთედლობითი კომპლექსის მცირედი ნაწილი ჩადგა, უკვე შეიძლება ითქვას, რომ „მზიური“ პიონერთა მრავალი თაობის აღდენილი ოცნებაა, სწორედ ის ქალა-

ქია, კარგების ქალაქი „მზიანეთის“ მშენებელ 50-იანი წლების პიონერებს რომ ესახებოდით სამომავლოდ, ის ქალაქია, რომელიც მთლიანად შეესატყვისება დიდებულ ჩანაფიქრს — „საქართველოს პიონერებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი პიონერული ქალაქი“.

„მზიურში“ მოსულთ ქალაქისკენ მიმავალ თეთრი ქვით მოკირწყულ გზაბილიკებზე მოკალათებული არლეინი ჩააკლდება, ზოლო ქალაქის ზღურბლზე პირდიმილიანი მასპინძელი, ჭადოსნურ ფარდა-ხალისაზე ჩამოქდარი, მტრედებით მხარ-მკლავდახუნძლული ყმაწვილი ეგებება, ხელმარცხნივ კეთილ და თვინიერი პონიერ ამხედრებული ხალისიანი ბიჭი ელოდება ქალაქის სტუმრებს. მის აბავში ჩაწყობილი წიგნები, პალიტრა-ფუნჯები, ბურთი და პეპლის საკერი პიონერული ქალაქის ერთგვარი კრებითი სიმბოლოა და იმაზე მიანიშნებს, რომ „მზიური“ ჩაფიქრებულია, როგორც ბავშვთა აღმზრდებლობით-გამაჯანსაღებელი ახალი ტიპის მრავალფუნქციური კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა ესახუროს სულიერად და ფიზიკურად ჭრანსადი, ჰარმონიულად განვითარებული, შემოქმედებითად მოაზროვნე აღდანიის აღზრდას.

არტიტექტორების, მხატვრებისა და მშენებლების დაუღალავი გარჯის, დიდი რუდუნების, ფანტაზიისა და

სიყვარულის კვალი ატყვია აქაუროზას, უკვე ამუშავებულ ყველა ობიექტს — იმ ორიგინალურ ჩიტიბიან წყაროსაც, ზედ შესასვლელთან რომ მოწაწყარებს, ღორმუცელთა კარლსონით დამშვენებულ კაფე „ცეროდენსაც“, საბავრო გზასაც, ფუნქცილიორსაც, ნაირ-ნაირ ატრაქციონებსაც. სიყვარულითა და ზრუნვით მოკიდებთან მშენებლები ბუნებასაც, მაქსიმალურად შენარჩუნებულა ხეები და ბუჩქნები, ხეობის მწვანე საფარი. ეჭვი არ არის, რომ ყველა, ვინც „მზიურის“ შემდგომ გაშენება-დამშვენებაში მიიღებს მონაწილეობას, კლავავც მსოლიო სიყვარულით და ბავშვებზე ფიქრით გამთბარი გულით მოკიდება ჩინებულად დაწყებულ დიდებულ საქმეს და წარმატებით დაავიარაგინებს მას, ხოლო ამ საქმის მონაწილე მომავალშიც ბევრი იქნება — ამიტვე ქტორებს, მხატვრებს, მშენებლებს, კომკავშირული აქტივისტებს, სტუდენტი ახალგაზრდობა, პროფექქნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. საქართველოს კომკავშირმა პიონერული ქალაქის პირველი რიგის მშენებლობა მისი საძირკვის გაჭრის დღესვე თავის დამკვერლურ ობიექტად გამოაცხადა და ამიტომაც გამოუჩნდა მშენებლებს ამდენი და მხმარე-ენტუზიატი, რომელთა მონაღმება, გარჯა და ენერგია უთუოდ

კეთილისყოფილად წაადგება მშენებელთა შრომას.

„მზიური“ საშუალებას მისცემს ნორჩებს ადრეული ასაკიდანვე ეზაარონ ძიებას, განსაზღვრონ საკუთარი ინტერესები და მიღრეკილებანი, ისწავლონ ყოველი საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, შეიძინონ საფუძვლიანი ცოდნა, შრომითი ჩვევები. სწორედ ეს დანიშნულება ექნება ჯერ-ჯერობით მხოლოდ გვემპროექტებ არსებულ მოსწავლეთა და ახალგაზრდობის სასახლეს, ღირსასწავლო ცენტრს მრავალრიცხოვანი აუდიტორიებით, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიებით, შემოქმედებითი სტუდიებით, საგამოფენო დარბაზით, მუზეუმებით, საცდელი მოედნებით, პლანეტარიუმით. ასაშენებელი და გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალზე ბევრია — დედათა და ბავშვთა პარკი, „ყვავილითა სამყარო“, ფრინველ-

თა ბაზარი, სპორტული მოედანი „ლომლის ბიჭები“, რომელიც მოწესიქვეშა გადასასვლელით დაუკავშირდება გამარჯვების პარკს, შინმოსულელ კაბუთა ხსოვნის უკუდავსაყავად მოწყობილ ამ მოედანზე ჩატარდება პიონერთა და კომკავშირელთა რიგებში მიღების ცერემონიალები, საზეიმო აღლუმები, პიონერული და კომკავშირული ზემოები; „მზიურის“ საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია დაეთმობა „თავისუფალი დროის ქალაქს“, სადაც განლაგდება კინოთეატრები, თეატრები, სპორტული მოედნები, კაფეები, მაღაზიები, ატრაქციონები და სხვა მრავალი გასართობი; ნავარაუდევია „წყალქვეშა სამყარო“ შექმნას, თავისი კუნძულით, ჩანჩქერებით, საოცარი წყალქვეშა მუზეუმებით; წყალზე სერიზობის მოყვარულთათვის გათვალისწინებულია ერთგვარი ხელოვნური წყალსაცავის შექმნა, რომლის

შედაბირზე ნაგები და იახტები ისარილებენ; ჩაფიჭრებულია წყლის წისკილისა და კალის გამართვა „მზიურის“ ტერიტორიაზე, ქალაქის საზღვრებს გარეთ იმუშავებენ პიონერული ბანაკები ინტერესთა მიხედვით, საერთაშორისო პიონერული ბანაკი. ბავშვთა ქალაქს აუცილებლად ექნება ზოომპარკიც, კომპლექსშივე ჩაეწყობება უნივერსიტეტის პედლოგი კორპუსის მიმდებარე ახალი ბოტანიკური ბაღი; რაღა თქმა უნდა, ასეთ მოზრდილ ქალაქს ტრანსპორტიც აუცილებლად დასჭირდება, ჰოდა, ამიტომაც არტიტეტორ-მშენებლები ტრანსპორტის ყველაზე თანამედროვე და ხელსაყრელ სახეობას, აერობუსს სთავაზობენ ნორჩებს, გარდა ამისა, პატარებს საშუალება ექნებათ პონებშებელი ეტლებით მოიარონ თავიანთი დედაქალაქი.

ერთი სიტყვით, ნორჩებს მრავალი სიხარული ელთ წინ და სულაც არ არის შორს ის დრო, როდესაც ბავშვთა სამფლობელოს ეს ზღაპრული და საოცნებო დედაქალაქი დასრულებულ სახეს მიიღებს და ფართოდ გაუღებს ნორჩებს ყველა თავის კარს.

ცოტა ვინმე თუ გამოტყდება, თორემ უფროსების უმრავლესობა სიხარულთან ერთად ერთგვარი შურნარევი გულდაწყვეტილით ათვლიერებს „მზიურს“ და კიდევ ერთხელ ნანობს და ნატრობს გარდასულსა და დუბურუნებულ ბავშვობას. მაგარა წამიერი და კეთილია ეს შური, ხოლო უფროსების სიხარული — ხალისი და უსაზღვრო. განა კი შეიძლება არ გიხაროდეს ამ საოცარი ქალაქის შემხედვარეს, მისი ბატონპატრონების გაბრწყინებული თვლების შემხედვარეს, ყველა იმათი შრომის ნაყოფის შემხედვარეს, ვინც აშენებს და ამშვენებს „მზიურს“, ვინც მრავალი თაობის ნათელ ოცნებას ასახმა ფრთას.

463

ფოტო მ. ბახაბლიძის და დ. ნათიაშვილისა.



მამაკი სიხარული მოჰაპს პატარაპი-სათვის ნაზ-ნაზი პატარაპიონებს.

მ. მარტენის ხატ. ს.მ. სსრკ
სახელმწიფო რესურსი.
1956 წ. იანვარი

აჭაყუბა დაიძყო

ა. ქაქიძე

მთხრობა

ოცდაოთხ ოქტომბერს, აჭაყუბის დაწყების დღეს, ვლადიმერ ილიას ძე დილიდანვე დღევადი. მართალია, იცდა, რა ძალეში იყო თავმოყრილი არსებული ხელი-სუფლების დასამზობად და რა მიმართულებით გაგზავნებოდნენ ისინი, მაგრამ მაინც არ შეეძლო მშვიდად ყოფილიყო. უნდოდა ყოველ წუთს სტოდნოდა, როგორ ვითარდებოდა მოვლენები, გაბედულად მოქმედებდნენ თუ არა ამხანაგები.

დილით მან რამდენჯერმე გაგზავნა ფოფანოვა* პარტიის ვიბორგის რაიკომში, თან სთხოვა, თვლი ედევნებინა ყველაფერისათვის, რაც პეტროგრადის ქუჩებში ხდებოდა. რა ქება მარგარიტა ვასილის ასულს? 24 ოქტომბერი სამუშაო დღე იყო. ჩვეულებრივად მუშაობდნენ დაწყებულიები, საწარმოები, მაღაზიები, საპარიკმახეროები, კინოთეატრები... უჩვეულო მხოლოდ ის იყო, რომ ტრამვაი წესირად არ დადიოდა, და კიდევ — ქუჩაში სამხედროები მომრავლებულყვენ. გაიგო ისიც, რომ ქალაქში ყველა ხიდი გასწლიო იყო და ქვეითად მოსიარულენი მენავეებს ორჩხომელებით გააღაყავდათ ნევაზე. მაგრამ, ცხადია, ვერავის ჰკითხა, რა მიზნით და ვისი ბრძანებით გაიხსნა ხიდები.

შინ დაბრუნებულს ვლადიმერ ილიას ძე აღვხებულე დახვდა — ჩქარი ნაბიჯებით წინ და უკან დადიოდა დღრეფანში.

— რა ამბებია ქალაქში? რა ხდება? — ამ კითხვებით შეეგება იგი დიასახლისს.

მარგარიტა ვასილის ასულმაც უამბო, რაც თავისი თვლით ხახა.

— ნუ გამოიცილით ტანისამოსს, გეთაყვა, — სთხოვა ვლადიმერ ილიას ძემ. — რაიკომში წერილი უნდა წაილით.

ეს იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე დაწერილი წერილი, რომელიც ფოფანოვამ ვიბორგის

* მარგარიტა ვასილის ასული ფოფანოვა იყო ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაიას ნაცნობი ქალი, რომელთანაც ვ. ი. ლენინი თავს აჯანყებდა ოქტომბრის რევოლუციის წინა დღეებში.

* იანი რახია — შუპარევილიციონერი, იაკაკვეთშიყო ყოფილი ღრის ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი მეგობარი ცენტრალურ კომიტეტთან.

რაიკომში ამხანაგებს გადასცა. ისინი, ერეკობა, მამიჩე სმოლნის დაუკავშირდნენ, რადგან მალე ამცნეს: ცენტრალური კომიტეტი ვლადიმერ ილიას ძეს, ხეინდნენ ვაიკომის ნებას არ რთავსო.

— ნებას არ მრთავენ? — გაოცდა ლენინი. — ნეტავ რას შიშობენ ჩემთვის? აი, საოცარი ხალხი! არა, ამას ასე არ ჩემოვებ. სპირითა მათი დაუყოვნებლო გადარწმუნება.

ვლადიმერ ილიას ძემ იქვე სწრაფად დაწერა მოკლე, მაგრამ, ფოფანოვას აზრით, მეკახე წერილი, რადგან, როცა ეს წერილი რაიკომში მღვიანა გადასცა, მალე იმ ოთახიდან, სადაც სხდომა მიმდინარეობდა, შეუფოთბული გამოვიდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული.

— ძალიან ბრახობს ვლადიმერ ილიას ძე? — ჰკითხა მან მარგარიტა ვასილის ასულს.

— ძალიან.

— და მაინც, გადაეცით, რომ ჯერ კიდევ არ შეიძლება მისი გარეთ გამოსვლა. დღაილის.

ფოფანოვამ ვლადიმერ ილიას ძეს ზუსტად გადასცა პასუხი და შეატყო, რომ ლენინი უკმაყოფილო დარჩა.

— ისევ უნდა წახვიდეთ მათთან, — სთხოვა ვლადიმერ ილიას ძემ. — მეტი დაცვა არ შეიძლება — შესაძლოა, ყველაფერი წყალში ჩაიყაროს.

— კეთილი, წავალ, — დათანხმდა მარგარიტა ვასილის ასული, — ოღონდ ერთი პირობით: თუ სუფრასთან დაბრძანდებით და ისაძლებთ. რამდენი ვეცადე, გემრიელი გამოსულყო კერძები, აქვე კი გემოსაც არ უსინჯავთ...

— ჰო, კარგი, ვისაძლებ, მაგრამ თქვენ ერთხელ კიდევ აუცილებლად უნდა წახვიდეთ. ახლავე მიწვევრ წერილის ცენტრალურ კომიტეტს.

მარგარიტა ვასილის ასული სამზარეულოსკენ გაემართა სადილის გასაცემებლად, ვლადიმერ ილიას ძემ კი სწრაფად დაწერა:

„ამხანაგებო! ამ სტრეიონებს 24-ის საღამოს ვერ, მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკულია. ცხადზე უცხადესია, რომ ახლა, აჭაყუბის დაყოვნება, ტეშპირიტად, სიკვდილს უდრის“.

ვლადიმერ ილიას ძემ წერილი სამზარეულოში შეუტანა დიასახლისს და თან დააჩქარა:

— წაიღეთ და მალე დაბრუნდით. იცოდეთ, თუ თერთმეტი საათამდე არ მოხვალთ, უფლება მაქვს ჩემი შეხებულებსამებრ ვიმოქმედო.

ფოფანოვა წავიდა და დიდხანს არ დაბრუნებულა. მის ნაცვლად იანი რახია* დააყენა კარზე დთქმული ნიშნის მიხედვით. ვლადიმერ ილიას ძეს გაუსხარდა მისი სტუქობა, ვახშამზე მიიწვია და დაუწყო გამოკითხვა, რა ხდებოდა ქალაქის ცენტრში. მაგრამ რა შეეძლო ეამბნა რახიას? იგი ხომ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი არ იყო. საქმის ყოველმხრივი ვითარება მარტოდენ რევოლუციის შტაბში — სმოლნში იცოდნენ.

რახიას სმოლნის ორი საშვები ჰქონდა, მაგრამ რო-

გორ გინდა ახლა იქამდე მიიღწიო? ტრამევი არ დადის, ფენით კი შორსაა, ათი ვერსი მაინც იქნება.

— არა უშავს, როგორმე მივალთ — დაამშვიდა რახია ვლადიმერ ილიას ძემ. ფოფანოვასთვის მან წერილი დატოვა და ჩაიკმას შეუღდა. შეუნიღბავად ვლადიმერ ილიას ძის გარეთ გასვლა საზიფათო იყო. მეტი რა გზა ჰქონდა — უნდა გაეკეთებინა პარკი, სათვალე, ყბა ცხვირსახოცი თუნდა აეხვია, თითქოს კბილი სტიკიოდა, და ძველი, დაჭმუჭნული კეპი დაეხურა.

— ძეპარა შენიღბვა, დროა გზას ვაგულდგეთ, — თქვა ბოლოს ვლადიმერ ილიას ძემ. — სინათლე ჩააქრეთ.

რაზიამ ლამაზა ჩააქრო. ორივენი კიბეზე გავიდნენ და დაბლა დაეშენენ.

ქუჩები გაუცაკრიოლებული იყო. უკანასკნელი ტრამევი პარკში მიიჩქაროდა. ვლადიმერ ილიას ძე დაეწია მის და საფებურზე შეხტა, რაზიამ ძლივ მოასწრო, მიჰყოლოდა.

ვაგონში მგზავრები არ იყვნენ. ვლადიმერ ილიას ძე კონდუქტორ ქალს წინ დაუჯდა და ჰკითხა, სად მიდის ტრამევი. ის კი სარკმლიდან შემწოთებული იყურებოდა სიბნელეში.

გაჩუმდით, უჩურჩულა რაზიამ. — თუ ამას თქვენი ხმა სადმე გაუგონია, გიცნობთ.

მაგრამ ვლადიმერ ილიას ძე არ ცხებოდა.

— პარკში მიდიხართ? — ჩაეძია კონდუქტორს.

— პარკში!

— რატომ?

— კი მაგრამ, შენ ვინა ხარ, რომ ყველაფერი გინდა იცოდე?

— მუშა.

— შენც მუშა ხარ რალა! „საით“, „რატომ“! ვერა გრძნობ, რა აშკარაა? ბურჟუეზის უნდა დაეარტყათ, აი, სად მივდივართ.

კონდუქტორი ქალის პასუხი ვლადიმერ ილიას ძეს ძალიან მოეწონა.

გრძელ, სწორ ქუჩაზე ძეხორციელი არ ჰქანებდა. კიშკრები ჩაეყვინათ, სმოლნამდე თითქოს არაფერი სასაშრობა არ ელოდათ. მაგრამ უცებ შესახვევიდან მათვე მომავალი ორი მხედარი გამოჩნდა და სმოლნისკენ მიმავლებს გვერდით ჩაუქოროლეს. ისინი საარტილერიო სასწავლებლის იუნკრები აღმოჩნდნენ.

— თქვენ სწრაფად წადით, — უთხრა რაზიამ ხმადაბლა ვლადიმერ ილიას ძეს, — მე კი მათ დავაყოფენბ.

იუნკრები მართლაც მობრუნდნენ, რაზიას წამოეწივნენ და გააჩერეს:

— საშუები!

— რაო? რა საშუები? — თითქოს აზრზე არ არისო, მთვრალი კაცის ხმით შეესიტყვა რახია.

ვლადიმერ ილიას ძე კი ამასობაში უფრო და უფრო შორდებოდა მათ.

— ან საშუები, ახ...



3. ი. ლენინი აცხადებს ძალაუფლების გადას. მასს საპარტიო ხელში. მხაზარე 3. სეროვი.

იუნკერმა მითრახი მოუღერა.

— აბა, ჰე, დამკარი, დამკარი, თუკი ასეთი მარჯვე ხარ! — მთვრალის ხმით დამიძხა რაზიამ. მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩაიყო, სადაც რევოლვერი ელო, და ბარბაკით ვაგბიჯა ცხენისკენ.

დამფრთხალი ცხენი განზე გატტა.

— შეეში შე ლოს! — თქვა ნირწამხლარამ მეორე მხედარამ.

— ეშმაკსაც წაულია ეგ ვილაკა! წაედილი!

იუნკერმა მითრახი ჰაერში გააშხულია, ცხენი მიაბრუნა და ჰენებით მიჰყა თავის ამხანაგს ლიტენის პრისბეტისკენ.

და აი, დამთავრდა ქუჩა და სმოლნის გრძელი შენობაც გამოჩნდა. ყოფილი კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის ყველა ფანჯარა განჩახებული იყო. ხეებქვეშ ჯავშონსები მოჩანდა, აქა-იქ კოკონები ენთო. მასასადამე, რევოლუციის შტაბი მოქმედებდა!

ცენტრალურ შესასვლელთან სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე შორეული ვუბერნიებიდან ჩამოსული დედეგატები შეჯგუფდულოყვნენ. თურმე სამანდატო კომისიაში მოკალათებულ მენშევიკებს ყრილობის დაწყებამდე ერთი საათით ადრე საშვის ფერე შეეცვლათ, თავიანთი მოზრებებისთვის თეთრის მაგერად წითელი საშვი მიეცათ და თან მკაცრად გაუფრ-



პარკრუნი:

„აიონარაპი-საშობლოს“

აიონარული შრომითი სახეობის ხუთწლიანი მოწინავენი

სიტყვა საშობელ იქცა

სკკ ცუის 1982 წლის მაისის პლენუმმა სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელება უპირველეს ამოცანად დასახა. ყველა ხელნაწერულ მშრომელს, დიდსა და პატარას, კარგად აქვს შეგნებული, რომ პირნათლად უნდა მოვიხადოთ ვალი ქვეყნის, ქალაქის, სოფლის, ოჯახის წინაშე — ვაწარმოოთ მეტი და უკეთესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

მაისშივე ახალშენის დ. გურამიშვილის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს.



კალ-ლონს პრ იურაზაან გომო-გიჟაი, რათა ლოკაის სალ-გომოი ათვალთაის სანიშურო წასრიბი და სისუთსაჟე იაოს.

— ჩვენი, პრაქტიკული წვლილი შევტანოთ პარტიის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის განხორციელებაში! — აი, ასეთი იყო ერთსულოვანი გადაწყვეტილება, რომელიც იკისრა თითოეულმა მოსწავლემ, კლასმა, რაზმმა.

საუკეთესოთა შორის აღმოჩნდა მეთექვსისეული კომკავშირელი ირმა თაყარაშვილაძე. წარჩინებულ სწავლას იგი წარმატებით უთავსებს სანაქებო შრომას. მისი ინიციატივით კლასმა იკისრა გამოეზარდა და სა-

ხელმწიფოსათვის ჩაებარებინა 5 ლორი. ასეც მოხდა, კლასმა პირნათლად შეასრულა ვალდებულება და სახელმწიფოს 700 კგ ლორის ხორცი მიჰყიდა.

საინტერესო ინიციატივის ავტორები არიან ოქტომბრელები, შარშანდელი ზაფხულის პერიოდში მათ თავთავიანთ ოჯახებში გამოზარდეს და სკოლის ფერამში მოიყვანეს თითო წოწილა, რომელთაც არც ახლა აკლებენ პატრონობასა და ზრუნვას.

თხილებინათ გუშაგები, დღეუგატები მხოლოდ ახალ საშვებით შეუღებით. შესასვლელთან თევზოყრლინი ხაჟორობდნენ. ილანძღებოდნენ.

ვიღაც მუშა თავის თერა სავსე ცხვირწინ უქნევდა გუშავს:

— როგორ თუ არ შემისვებთ... დღეუგატს აკავებთ?.. იგი მკერდით მიაწევა დაბნეულ გუშავებს. მას გვერდით მდგომებმაჟც აუბეს მხარა.

— რა უმსგავსეობაა! თვითონვე აურ-დაურევენ, მერე კი არ უშვებენ. აბა, განი!

და ხალხი შენობის ვესტიბულში შეიჭრა, თან ვლადიმერ ილიას ძეც გაიყოლა.

კიბეზე რომ აღიოდა, ლენინი იცინოდა:

— ჩვენებს ვინ დაუდგება წინ!

ვლადიმერ ილიას ძე მესამე სართულზე ავიდა და სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ოთახში შევიდა. ამხანაგებმა მაშინვე მოახსენეს, თუ როგორ მოქმედებდნენ რევოლუციური რაზმები შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

იმ დამეს წითელმა გვარდიამ ხელთ იგდო ქალაქის უნიშვნელოვანესი პუნქტები: ვაგზლები, ბანკები, ტელეფონისა და ტელეგრაფის სადგურები. სმოლნში მკავშირეებს წამდაუწყემ მოჰქონდათ სასიხარულო ცნობები ზიდების დაკავების, ნევაზე მიმოსვლის მოწყობის, გეგმის დათვითი მთავრობის უკანასკნელი თავშესაფრის — ზამთრის სასახლისაკენ წარმატებით წინ წაწევის შესახებ.

მერვეკლასელებმა სიმინდი დათესეს, გულიანად მოუარეს და კარგი მოსავალიც მოიწიეს. მათ ტოლი არ დაუღეს მეთევქლასელებმა, რომლებმაც სკოლაში მეზოცერების პატარა ფერმა მოაწყვეს. მართალია, ჯერ მხოლოდ 22 ბოცვერი ჰყავთ, მაგრამ როგორც ცნობილია, ბოცვერი ძალზე მალე მრავლდება და ახლა კომკავშირელები იმაზე ზრუნავენ, რომ სადგომები გაუფართონ მათ.

სკოლის პიონერებმა და კომკავშირელებმა იციან, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამეპად კამბანიას, რომელიც ქართული ჩაის პრესტიჟის აღდგენისათვის გაიშალა. ისინი

2100 კგ აწლის ნაყოფი, 300 კგ მსხალი და 300 კგ ხურმა-

მოზარდთა შრომითი წვლილი აშკარად გამოჩნდა. ყველაფერს დაეტყო წითელყელსახვევიანი გოგობი-ტების თუ კომკავშირელების მზრუნველი და გამრჩე ხელი.

სასურსათო პროგრამის განხორციელებაში მოსწავლეთა მონაწილეობა დიდად სასარგებლო საქმეა. შრომითი ჩვევების გამომუშავებასთან ერთად, საკუთარი ოფლითა და გარჯით მოწვეული მოსავალი უდიდეს მორალურ სიხარულს ანიჭებს მათ. მოზარდებს შეგნებული აქვთ, რომ ეს სახელმწიფოებრივი საქმეც



წალში ბიბიმარტა კარბალ ბათონილი და ხარეველმანისა. პან ზაფხუმილი სიმინდის უანა.

ამ საქმეშიც მხარში ამოუდგნენ უფროსებს.

შარშან, 1982 წელს ჩვენმა მოსწავლეებმა სახელმწიფოს უკვე მიაციდეს 237 კგ ღორის ხორცი, 100 კგ მწვანილი, 230 კგ კარტოფილი, 100 კგ პამიდორი, 1300 კგ ეკალა,

არის. ამით ახალგაზრდები კიდევ ერთხელ უმტკიცებენ თავის ერთგულებას სახელმწიფოს და მის ლენინურ კომუნისტურ პარტიას.

- 2. ბირძი, სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი,
- 8. ბირძი, რაწველას სახელოსთავმდომარე.



ზარუნელები იქმნები

ენაპი ნიქარაძე

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები

მგლისანი,

ეს არის, ჩემო ქვეყანავ, შენი პირველი მიზანი. შენი პირველი იმედი, შენი პირველი ოცნება. გზას გაუწათებთ მარადის სიკეთის დიდი მოძღვრება. არა, არც ერთი მათგანი არ გიღალატებს აროდეს, რომ შენდებოდეს, ჰყვოდეს, შენდებოდეს და ხარობდეს. იამაყებენ ანაყოს და ნარსულის დიდი ძეგლებით, თვით გახდებიან ხურონიც, მეზერენიც,

მასწავლებლებიც.

მთელ დედამიწას მოჰყვენენ ახალ ლეკსებს და ნახატებს და შენ იქნები ყოველთვის მათი პირველი სახატე. არც ვაჟაცობა ექნებათ, არც ჭკუა სხვაზე ნაკლები, არ მოგვეშლება, მამულო, ტკბილი ჭრიალი აკვნების. რომ არასოდეს გამრუდდეს კიდე ფიქრი და მიზანი, — შენდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი.



ღრუბლების მოფინაურებალი

აპაქი მენაძე

მხატვარი ზ. შორჩიძე

მ ო თ ხ რ ა ბ ა

კუხიანი მთის ზურგზე ქულა ღრუბელი თეთრი ვარდით ამოვიდა და ცა ნახი ღმილით შიამკო.

— აქაურ ცაზე თითქოს ღრუბელიც უფრო ლამაზია! — შენიშნა ლიამ.

— აქ ხომ ჰაერი უფრო სუფთა და გამჭვირაველია. — გაბასტა ლო. — ამოცანას გეტყვი, ვინდა? ლიამ უხმოდ დაუქნია თავი.

— მზეზე ძლიერი, ქარზე სუსტი, ფეხი არა აქვს და დადის, თვალები არა აქვს და ტირის.

— ლია დაფიქრდა, მხრები აიწურა და თავი გადააქნია.

— რაც ამ წუთას დაინახე, ქალაქელი, ისაა — ღრუბელი. მართო ღრუბელი ახერხებს მზეზე ჩადრივით აფარებას, ქარი კი თავის ნება-სურვილზე დაფარფაბტებს ღრუბელს. ღრუბელი მუდამ უფებოდ დიდის, თვალებში არა აქვს და ცრემლებს კი აღვარღვარებს.

— ვაიმე, უცებ როგორ ვერ მივხვდი?

— აბა, ეს თუ იცი — მტკლით ჰაჰს, ზურგით ერთსა ლია ისევ დაფიქრდა.

— ვერა, ვერ გამოვიცანი, თითხა ვაკვავე.

— ეს შენთვის მართლაც ძნელი მისახვედრია. ალბათ ხელში არც არასოდეს გპყვრია, იქნება არც უნახავს. შალაშინია.

— შალაშინი ნამდვილად არასოდეს მპყვრია ხელში, უპ, რა სმინდალად დაცხა!

— მზე ასე რომ დააპყვრს, ჩვენში ამპობენ მსუქანი სიცხეოა.

— ქული მინც არ დამეხია, ან გზისთვის გავეთა მეგულბია, ნაპოლონის ქუდს გავიყებდი. მზემ დაკვრა იცის, ზღვაზე ერთ ქალს დაპყრა და იქვე გააცხებია სული. შენ მზის სულ არ გემინია, თავშიშველი რომ დადიხარ?

— მზე ღედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი, წყრილ-წყრილი ვარსკვლავები — და-მამნია ჩემი. შენთვის კი ასეთ თაკაა მზეში დიდხანს სიარული მართლაც ძნელი იქნება.

— დაებრუნდეთ?

— არა, ახლაც გავიჩენ ქუდს.

ლო ღელისკენ დაეშვა, ბეჭობზე ამოსული ფართო-დოლიანი ორი ჯორისტერფა მოვლოჯა, დაეცა, ფიხის წყირებით შეეჭრა და ნაპოლონის ქუდს დაამსგავა.

— აბა, ინებეთ, ქალბატონო! — რევერანსით მიაროვა. — თქვენი მაღალკეთილშობილების ხათრით მეც დაივიწყრავ, თუ ნებას მომცემთ.

— ეს რა, ბუერას ფოთილია?

— ჩვერ ჯორისტერფას ვეძახით. აქ ყველა ღელის პირზე იზრდება.

ერთ ქულა ღრუბელს ქარაიანივით ცხრა ამოპყვა. ცის კაბადონი ქულა ღრუბლებით აუვსო. თითქოს ცაში ვილაც აგებდა და თითონევი ამსხვრევედა ზღაპრულ კომუკებს. შავლაქებშერეული ამოთეთრი ღრუბლები წამდაუწემ იცვლებოდა და მათ იერში რა არ ჩნდებოდა — კუხიანი აქლემი, კბილუდაცაგვიკლია მგელი, ტანწირწირა ქალი, თთვიწერა ბერიცაქი, ბეჭირ სხვა რამ.

— ხომ არ გავიწვიმიდებ? — დაინტერესდა ლია.

— საავდრო პირი არ უწანდა ცას წუხელ, არც ეს ქულა ღრუბლებია საავდრო. თანაც ვაწვიმება, ჩუშმა, კბენია სიხვემ იცის. ახლა მზე ერთობ მცუნვარავა, მავრამ არ იკბინება.


ლიამ ჭიამაია დაიჭირა და ხელისგულზე დაისვა.

— ფრინდო, ჭიამაია, ფრინდი, ჭიამაია მომიტანე ამ-ზავი, თუ როგორი დარია!

ამის საქმა და ჭიამაიას ვაფრენა ერთი იყო.

— ნეტაე ჭიამაიებმა მართლა თუ იცანს, სად როგორი დარია?

— ალბათ მოვა დრო, მავ საიდუმლოსაც გავიგებთ. ამბობენ, ხეებმა წუხილი და სიხარულიც იციანო. თურ-ღი, როტს რომ მოჭირი, სტკივა, მაგრამ ამას ვერ გავი-



გებთ, იმიტომ, რომ არ გვესმის, რასაც მცენარეები ლაპარაკობენ. დიდილი?

— ამდენი ჩემ სიცოცხლეში არ მივლა. მეჩვენება, სიარულით ფეხები გამოცედა და დავპატარავდი-მეთქი.

— მე კი მეჩვენება, რომ, პირიქით, გაიზარდე... ყოველნაირად.

— ასეა თუ ისე, ფეხები მწყდება, მუხლები თითქოს ბამბისა გამიხდა, წამდაუწუმ მეცეცება. შენ სულ არ დადილი?

— მე არც სიარული მდლის, არც სირბილი, თუ საპირთ გახდა, შენც ავაცილებ და ისე ვივლი. მოგვიფეცებოდა კიდევ.

— მე რაც სიარული მდლის, არც სირბილი, თუ საპირთ გახდა, შენც ავაცილებ და ისე ვივლი. მოგვიფეცებოდა კიდევ.

— სხვათა შორის, აი, იმ ფერდობზე მინდვრის მარწყვი იცის უბოძად. შორიდან რომ შეხედავ, ფართოდ გაფეხვი უზარმაზარი წითელი ხალისი გეგონება. თუ გინდა, ავიდეთ.

— მერე, მარწყვისთვის აქ რძე სად ვიშოვო?

— რომ რად უნდა მარწყვის, ვოთ?

— აბა, რა! ეგება უხსენებელმა გადაუარა და დაყრწყვა? ხომ მოვიწამლები მაშინვე?

— მე აქ ყოველთვის ურქოდ ვვამ მარწყვს, ერთხელაც არ უწყენია.

— მე ვცივ, რომ მარწყვის ჭკმა ურქოდ საშინოა, მით ურქოს, მინდვრის მარწყვის.

— მაშინ მაყვლით ჩავიტკბარუნთ პირი. მარწყვის ხსლოს მაყვლიც მეგულება.

— მაყვალს ჭიანჭველა რომ შევყოლო, ვინ მოშველს? მერე ჭიანჭველა თურმე მუცელში ცოფიანივით დარბის და გზას რომ ვერ პოულობს, მწარედ იტიბინება. აღმაინს ისე აჯივლ-აწივლებს, კარგში თითი რომ მოუყვება. არ მინდა მე არც მარწყვი, არც მაყვალი.

— ეჰ, ლია, ლია! ვინ მოთვლის, აქ მარტო მაყვალზე რამდენჯერ გადაესულვარ, ჭიანჭველა ერთხელაც არ ჩამიყოლებია. ყველაფრის თუ ასე შეგვეშინდა, პირი ვერასოდეს გავივსებოდა და ეგ არის.

ტყისავე მამავალ ბილიკს დადაგენე.

— ლო, აქ ზღმარტლი და შინდა თუ იცის?

— რამდენიც გნებავს.

— ჯერ არ იქნება მწიფე?

— აქ გვიან მწიფდება ზღმარტლიც და შინდიც. ზღმარტლი თითქოს დადებამდე მკვებია. მერე, იცოცხლე, ჩაყურებდება. შინდის ამბავი კი შენც გეჩვენა წავითხული. აი, ის — დათვმა ვახუზულზე პირველად აყვავებული შინდი რომ იხილა და მის ქვეშ წამოწყა, რაკი პირველი აყვავდა, სხვა ხილზე ადრე დაწიფებდა და პირს ჩავიტკბარუნებო. სასტიკად კი მოტყუებდა, რადგან შინდი ყველა ხილზე გვიან დაწიფდა. შინდი ყვავილობით გვატყობინებს, ზამთარი იწურებაო, და შინ-

დივე დაწიფებით გვიანშენებს, ზამთარი ახლოვდებაო.

შენ წაბლი თუ გინახავს?

— წაბლი ეს არ უნახავს ბაბილინა ბებია! ზამთარში ვიყავი. მე ძალიან მიყვარს მოხარული წაბლი, ფეტილივით დნება პირში.

— მე გეითხები, წაბლის ხე თუ გინახავს-მეთქი?

— ხე არა.

— შარშან შენი პატარა ქალაქილი მამიდავგოლი წამოვიყვანე ტყეში და, წაბლი რომ დინახა, წამოიძახა: ეს რა უცნაურობაა, შეხედე, ხეს რამდენი პაწაწა მწვანე ზოარბუნე ჰყიდაო. წაბლის ბუდევი ეგონა ზოარბო. კაცმა რომ თქვას, წაბლის ბუდევი ზოარბს კი ჰყავს. შემოდგომაზე რომ შეხედავ წაბლის ხეს, ზედ თითქოს მართლა ზს ათასი პატარა ზოარბუნა. ზოგ ზოარბუნას პირი დაულია და გამოყოფილ ენასავით ყავისფერი წაბლი უჩანს. აქაურ ტყეებში ბევრია წაბლი, წიფელიც ბევრია. წიფიბო ვიპოვებ?

— ბაზარში მინახავს ხოლმე, მაგრამ დედას არასდროს უყვიდა.

— მზესუმზირას ჯობია. ოღონდ ყვითელ ქერქს რომ შემოაფეცქვინ, მითითრი გულს ქერქლოვანი, თხელი კანი აკრავს, ის კანია ძნელი გასაცლელი. არადა, გული კარგია შესაქმელად... აღბათ დედაშენი წიფიბოს იმიტომ არ ყვირდობს, შვილი არ გამოიწვალდესო.

— აწი უმჯველად ვაყიდივინებ, ერთხელ მაინც ხომ უნდა გავუსინჯო გემო.

აი, ორი რცხილა ერთმანეთს ჩახვევია, მარტო ტრტე-ბით კი არა, ძირითვე, თითქმის ერთ ხედ ქცეულია. ლეომ გადახლოვანი ხეებისათვის ლაის ყურადღება მოაქცევინა და დასძინა:

— ასევე დაბერდება. თუ ერთი გახმა, მეორეს ის გამხმარი ხე მაინც ვერ მოშორდება. აქ როცა ვინმე იარვლის, უქვევლად ამბობს: შეაბერდით ერთმანეთს აწ და მარადის, უქუნითი უქუნისამებო. პირველად ვინ თქვა, აღარავის ახსოვს, ასე კი დასჩემდა ყველას. ჩვენც უნდა დავლოცოთ ეს წყვილი, ლია!

— შეაბერდით ერთმანეთს აწ და მარადის, უქუნითი უქუნისამებო! — ერთბოლოვად, წაღრებობთ წარნოსთქვა გოგო-ბავშვს. ბოლოს რატომღაც ერთმანეთს შეხედეს და... ორივეს ჩუმი სიცილი აუტყვდა.

მუქ-მწვანედ ჩაბნელებულ ხშირ ტყეში შერგეს თავი. აქ ნაძვც იყო, მწიფეც; ცაცხვც; აქა-იქ რცხილაც ვრია. ამ უზრანმა თავისებური სივრცოვანი, სიმუხლოვანი და ფისის სააო სურნელმა შემოაგებათ. თაკარა შინდან მოსულეებმა ეს უმალვე იგრანეს, თითქოს უხილავ მდინარეში იყურებოდნენ.

აი, ერთი ცაცხვიც რცხილად გავზრდილა, მის მეზობლად მდგარი ტანმოლტილი ნაძვი წაქცეულია, ზუსტად ცაცხვის იმ რცხის შუა გადაწილილია და არის თავისთვის.

— ხედავ, ჯერ არ გაიხმარა ნაძვი, თუმცა წაქცევის ფესვების ნაწილი ზევით ამოუყარა. ძირამოგულჯილი ხე

ერთხანს ფსევდებზე ამოყოლილი მიწითაც ახერხებს სიცოცხლს.

წიფლის მსხვილ ტოტზე კუდბუთქუნა პატარა ციყვმა გადაირინა, შემობრუნდა და ტუნების უხმო ცმაკუნით მიაშტერდა ადამიანებს. მალე იქვე მეორე ციყვიც დაინახეს, უფრო მობრდილი.

— აგერ, ციყვები! — წაოიძახა ლიამ.

— ჰო, ციყვები ამ ტყეში არხეინად ცხოვრობენ, თხილს ბლამად შოულობენ, წიწიბო და სოკოც ბევრია.

— ციყვი სოკოსაც ქამს?

— მაშ, იცის რომელი სოკო იჭებება და რომელი არა... წამთრისთვისაც იმარაგებს, სულ თხილი და წიწიბო რომ არ ქამოს. კბილით ხერტეს და ტოტებზე ჰკიდებს გასაბრძოლად. ციყვები გირჩენსაც ინახებენ საჭედილად. თურმე გირჩის გასახუფთავებლად თავისებური დაზვაც კი აქვთ მოწყობილი. ჩიდებენ გირჩს შიგ და აგუნდავენებ მინამ, სანამ უფარავს ჩენჩო არ შემოეცლება.

ტყეში თითო-ორიოა მზის სხივიც ატანდა, ისიც ირიბად დაშვებული. გვეგონებოდათ, ფოთლებზე დაცემული მზე მეწამული შემსავით ტყდება და თას პატარა-პატარა სხივად დალუწილ-დამსხვრეული ისე იბნევა, მიწამდე ვერც აღწევს, ხის ტოტებზე მტკვრივით წყებაო. უღრანი ტყის გარინდებული სიჩუმე თითქოს ფოთლებიდან ჩამოპარულ მზის სხივებში ჭყუშპალაობდა.

— დედაე ჩემო, სად შემოვდივით? ამ ტყეში, მაგონი, მესუსაც ვეზინია ჩამოხედვად! — შემცბარა შეჩერდა ლია.

— ნუ გეზინია, უფრო ღრმად იღარ შევალთ. აქამდე იმტომ შემოვიყვანე, რომ უღრანი ტყე გინახა, სასულტ, კაბარად! ახლა შეგვიძლია უკანაც დავიხიოთ და ტყის პირას დავისვენოთ კიდევ.

ასეც მოიქცნენ.

ლია წიფლის მსხვილ ფესვზე ჩამოჯდა. ხეს ბეჭებით მიეყრდნო, თვალები დახუჭა, გაირინდა და... უმაღლესი იღმა წაართვა თავი, ფესვიდან ნება-ნება ჩამოცურებულ ი გუნებოიარა მიწვა ნემშომპალიან მიწაზე.

ლურს რატომღაც ვაეღობი, იქვე, მახლობლად, შიშველ ლოლზე ჩამოჯდა და გოგონას თვალდაუხამხამებლად მიაშტერდა.

„ასე დილაადრიან ალბათ არც არასდროს ამდგარა ლოგინიდან და... უჩვეულო გზით დალილ-დაქანცულმა ვერც გაიგო, რა უცებ მოწყვიტა ძილმა კისერი. არ გავადიებებ, სანამ თვითონ არ მოვიგუნებებს თვალის გახალას. ასე გემპრიელად იქნებ არც არასდროს სინებოდა. დაილამ ტკბილი ძილი იცის.“ — გაიფიქრა ბიჭმა. — ნეტავ ესინებრება რამე? აი, სიზმრის წაქითხვა პირისახეზე რომ შეიძლებოდა... ჰო, ჩემით არ გავადიებებ, ხელი რომ შეხლო ან ყურში ჩაეძახო, ვითუ შეშინდეს. ჯობია თავისით გაიღვიძოს.“

ლურს თვითონაც ეინებდა, მაგრამ ამის უფლებას თავს არ აძლევს, უცებ გაფიქრებულმა ლიამ მძინარე რომ დაინახოს, იქნებ ამისაც შეშინდეს, ანდა —ბუჩო რომ

დააჯდეს, ან ქიანქველა შეაცოდეს, ხომ უნდა მოეუტევიო, ნადარეკად რომ არ გაიღვიძოსო. ისიც იფარულა, ვითუ ჰრულებრანგა უსუნებელა გამოქტრეს საოდნანო და... ბიჭი გოგონას მშვიდ ძილს დარჯულ დაუდგა. მასაცუთრებულ პასუხისმგებლობა იგრძნო ახლა. ფხიზლად უთვალთვალედა.

ლიას სიც წყნარად ექნა, თითქოს არც სუნთქავსო. ტელევიზორში ნანახი მზეთუნახავი მოაგონა. წიგნებშიც ხომ ასეთ წარბებედაცალმულ, მაღალმუხლა გოგონებს ხატებენ ხოლმე. ახლა ლიაც თითქოს მზეთუნახავი იყო, ტყეში მძინარე მზეთუნახავი.

ლურს არც სეი დედა ხანს მოუხდა ლოდინი. ლიამ ან ტყის სივრცელ იგრძნო ან სიზმარში რაიმე შეაკრიო, დაფიქრებულ-გაოცებულმა დააქუცია ცისფერი თვალები:

— ვიმე, სადა ვარ?

— აბა, ვადარევა არ იყოს! — მიაშვლა სიტყვა ლიამ, — იქა ხარ, სადაც დამძინე.

— ვიმე, შიშველ მიწაზე ვიძინებ? — წამოხტა და კაბა დაიფრთხა... — უქმური რომ ამყვეს!..

— ჩვენმა მიწამ უქმური არ იცისო, ლონგო ამბობს. მე რანდენჯერ ვწოლილვარ და არაფერი.

— შენ კი... დედაე ჩემო, როგორ ვერ გავიცი? დიდა ხანს ტყეშია?

— არც ისე. ალბათ, ნახევარ საათს.

— და შენც სულ აქ იყავი?

— თვალთ არ მომიშორებოდა. არაფერი გვისიზმრა?

— მესიზმრა? კი, კი, მესიზმრა... მაგონი, მიყოლებით ცნრა სიზმარი ვნახე და მხოლოდ ერთი დამამახსოვრდა. იქნებ, შენი არ იყოს, რასაც ფხიზლი ვფიქრობდი, ძილშიც ჩამყავდა... ვიკომ ცაში დავფიქრებოდა და ღრუბლებს ვათვინიერებდი... უხილავ თოქჩამბული აქეთ-იქით დამყავდა და ჩემს ღრუბლებს კვალდაკვალ მისდევდნენ ყვავილები... იმ ნაირფერ მინდორზე რომ ვნახეთ დღეს. მერე, სადაც ის ყვავილები ლამაზობდნენ, იქ ჩნდებოდა სულთა, გემრიელი ჰაერიც.

— ლამის სიზმარი გინახა ამ უღრანი ტყის პირას. ათასი წელწილად რომ იცოცხლო, ეს სიზმარი აღარ დავაგვიწყებდა. სხვა თუ არაფერი, ამ სიზმრის სანახავად ღირდა აქ ამოსვლა. ახლა ვინჩაროთ, თორემ ყველაზე რელი გზა გვიძევს წინ, ხეორიაც გველოდება...

— იმაზე ძნელი გზაა, რომ გამოვიარეთ? ხეორი რა არის?

— მდინარეა. მცხუნვარე მზეში ხომ ვიარეთ? ვიარეთ. ტყის სააშო სოკრილუ ხომ ვიგემეთ? ვიგემეთ. ახლა ცოტასაც მზეში ვივლით და წყლის სივრცელსაც ვაგისინჯავთ. ხომ უნდა გავიგოთ, ტყის მუქ-მუქვანე სივრცელ და მდინარის ცისფერი სივრცელ ერთნაირი რომ არ არის. ხეორში გავტ-პავთ. ვიცო, შეგეშინდება, მაგრამ არ უნდა შეგეშინდეს. არ გიმალავ, ხეორი, როგორც ვუვლა მთის მდინარე, გიქურდათ თავქუდმოაოლეჯილი გამორბის. ადამიანს მხოლოდ მუხლობა სწევდა, მაგრამ ისე მუხლობარდა თვითონ, ფეხს მორტყვამა იცის, იუ წაგაქცია, ერთობ ჰირს წამოღოვამა. დასტურა, სახიფათოა ვასვლა, მაგრამ არც იმ ხიფათს უნდა შეუ-



შინდგ. ერთ მეზღუაურს, რომელსაც მამა, ბაბუა და ბაბუის ბაბუა ზღვაში დაეღუბა, გლეხმა პკითხა: შენ კიდე მეზღუაურობას გაპყევი, არ გეშინია წინაპრებივით ზღვაში რომ დაიღუპო? მეზღუაურმა პკითხა: შენი ბაბუა სად მოკვდაო? ლოგინშიო. ბაბუის ბაბუაო? ისიც ლოგინშიო. მერე შენ არ გეშინია, ყოველ საღამოს ლოგინში რომ წვებიო? არ გაძალეზ, თუ გინდა, ნუ გავალთ.

- არა, ჯერ ენახოთ ის შენი ხეორი, — ლიას შიშინარეკად გაელიზა.
- მუხლი ხომ არ ვაწუხებეს?
- ლიამ თავი გადააქნია.
- ძალიანაც კარგი. ბარემ აქვე მოიძვრე ეგ დოღბან-

დაღტყეული შენი ქღდი. პოდა, ასე. სულ ერთია, მღნარესთან მიინც მოგიწევდა მოხსნა. ა, თითქმის აღარადფერი გეტყობა, შენ კი — აღუა ბავშვივით აღრიადლი სისხლის დანახვავზე.

ლეომ წალი მოიძარჯვა და წერილიანში ორი ჯობი გამოჭრა, ერთი თვითონ დაიტოვა, მეორე ლიას დააქვრინა.

ტყის სიგრილიდან გამოსულებს მზე უფრო ემწვავათ, მაგრამ მალე მდინარის სიგრილე შემოეგებათ და ამან უშედავათათ.

ძალ-ღონით საკვე მთის მდინარე გულმოსულოვით მოღრიადლებდა, თითქოს ქვეყნიერებას ემუქრებო, და

ჯამება ზვირთებს მოაზურთავებდა, აქა-იქ ტალღებს კლდოვან ნაპირებს უტყვალმუნებდა, კბოღს კი მკერდზე ასტებოდა, როგორც მეცხეარის ძალი უცხო მგზავრს. რიყეზე, ცალკე, თავთხელი მდინარის ტოტი მოქურთ-ტულუბდა და გუბურებს აჩენდა.

გინდა, კალმახებს გაჩვენებ? ყველა მთის მდინა-ოგშია კალმახი.

— ასე შორს ამოდის თევზი?

— კალმახი სხვაგან ვერც ძღუბს, მუდამ იქით ვარ-ინის, სადაც უფრო ცივი და მოუსვენარი წყალია. დიდ ჩანჩქერებზე ასეაღასაც არ ერიდება. კალმახს უთქვამს: წვიმის კამარა თუ არ შეწყდება, ტალღებს ზემოდან მოვეცქევი და მთვარეზე გადავხტებიო, შენ კალმახა სულ არ გინახავს?

— აბა, სად? მე მხოლოდ ოქროს თევზი მინახავს, ისიც აკვარაუშში.

— ოქროს თევზი, დასტურ, ლამაზია, მაგრამ... ვა-რინც კალმახი ჯობია. კალმახი თევზების მეფეა, მერე რა, ტანმორჩილი რომ არის. ა, მოდი, აქ! — ლემე გუ-ბურასთან მიიხმო ლია. — ნახე, ერთბაშად რამდენი კალმახი დაცურავს.

— ასე პატარა და თანაც უფერული? მე გამიგია, კალმახი წითლადა დაწინწყვლილი?

— ესენი ჭერ ლიფსიტები, გაიზრდებიან და დაიკ-ვირან ლამაზ ფორეჯებს. დიდი კალმახი მდინარის ტოტ-ში იშვიათად შეშობის. ჭერჯერობით ამათ ნახავს დავ-ჯერდები. აი, მე შემოძლია, უცნეს ეს პატარა ლიფსიტა დიდ თევზად ვაქციო.

— ჩადღებო ხარ?

ლემე ღურბინდი მოიხსნა და ლიას მიაწოდა, თან უხმოდ ანიშნა, ამით ჩახედო. ლიამ ღურბინდის თვა-ლები გუბზე დაუმიხვნა.

— მართლაც წაშში გიხარდნენ, თევზებად იქნენ.

— ახლა შებარუნე ღურბინდი და ისე ჩახედე!

მეორე მხრიდან ღურბინდმა ისედაც ცეროდენა ლიფ-სიტები შორს გააქანა და მეტად გაალოფსიტავა. მერე ლიამ ღურბინდი კარგ ხანს ატრიალა წაღმა-უტულმა. ლიფსიტები ხან თევზებად იქცეოდნენ, ხანაც ისე პატა-რავდებოდნენ, წერტილებადლა ჩანდნენ.

— თუ გინდა, ახლა მეც შემომხედე. — გაიღმა ლემე.

ლიამ ღურბინდი თვალებზე მიიღო.

— ვაი, რა შორს გაიქციე! — ღურბინდი გადააბ-რუნდა. — ახლა აქვე ხარ, წამისწამ დამიახლოდე. მოკ-ლედე, ჩემ ხელში ხარ, მინდა გავაღივლებ, მინდა, და-გაპატარავებ, — ჩაიციხა ლიამ გემრიელად.

გოგომ ხელი გაიწოდა ბიჭისკენ, მაგრამ ვერ მის-წვდა.

— ეპ, როგორ გამიღიდა ხელი და გამიმსხვილდა თითები, შენ კი მაინც ვერ მოგწვდი. — მერე გაღმა-გამოღმა ვახიხლ-გამაიხიხდა წაღმა-უტულმა შერტირლე-ბული ღურბინდით, კვლავ გუბურას მიუბრუნდა და იცითხა:

— თევზებმა ძილი თუ იციან?

— ეცოდინებათ. ყველა სულდგმულმა იცის ძილი... რაი ძილი იცის, ალბათ, სიზმარიც. ვინ იცის, თევზებ-საც ესიზმრებათ ხოლმე ღრუბლების მოშშიწურებლად გახლობა, წყალი ხომ მაგათი ღმერთია. გავიდეთ? — ლემე ხეორს გახედა.

— ამ თქვენს გიჟებ მდინარეს ახლომახლო ფონი არა აქვს? — ლემე თავი რომ გადააქანა, ლიამ დაუ-მაბა. — იქნებ მოგვეჩანა?.. ცოტა ფონისნაირი ადვი-ლი მაინც მოგვეჩანა.

— მიმეზიო ხეორი ყველგან ერთნაირია, უფროო.

— მე რომ ცურავ სულ არ ვიცი? რომ წავიქცე?

— სალუტ, კამარად! არ უნდა წაიქცე. ეგ მაგარი ჯო-ხი ტყუილად დაგაქვირინე? ფეხებს მაგ ჯოხით ხელის ძალასაც მიაშველებ. პოდა, უფრო გალონიერდები და მოვლსაც უფრო გაიმაგრებ წყალში. მე ქვემო მხრიდან დაგივდები, რომ არ წაიქცე.

— სანდლები გავიხიად?

— უმეკველად.

ლემე შარვლის ტოტები ბარაკებამდე აიგორგლა, ლიას სანდლები თასმით ერთმანეთს ვადაბა, მხარზე გადაიკიდა თვითონვე, ღურბინდა კისერზე ჩამოიკონ-წილდა, ჯოხდაბეჭენილი წყალში შევიდა და ლიაც შეი-ყოლია!

— უუუჰ! — შეცახცახდა გოგო, — რა ცივია!

ბორძი-ბორძიყთ შევიდნენ. სიპ ქვეზე ფეხი უტუ-რავდათ. ბიჭი მარჯვენით თავის ჯოხს ებჯინებოდა. მარ-ცხენას — ლიას ჯოხს აშველებდა. შუა წყალში გოგოს მაინც აუსლტა ფეხი, გულგულა ვადავარდა და ჯოხი დაჯარა. ლემე მარცხენა ხელი წაულო ლიას, მაგრამ არ ეყო ცაცის ძალა, ჯოხი მოიშორა და მარჯვენაც მიაშველა მარცხენას. გოგო ორივე ხელით აიტაცა. ამ ფაქტურში ორივე ჯოხი წყალმა წაატეტივა, ლიას მხრიდან სანდლებიც ვადაუვარდა და ისინი ზვირთებ-ში ჯოხებს გაედუნენ. წყალს გაჰყვა პორისტერფას ქუ-ღებიც. ეს ყველაფერი თვალის დახამამებში მოხდა.


— ხელმეო კისერზე მიმხვიე, ჩქარა!

ლემე გერ ბოძივით გაბაჯჯავდა წყალში, კისერზე ჩა-მოკიდებული ლია უფრო მარჯვედ დაიქირა და ფრთხი-ლად ვადავად ერთი ნაბიჯი, მერე მეორე, მესამე, თან-ლანდ გათამამდა და, რიყეზე რომ დადავად ფეხი, მა-შინლა შეშინდა, რადგან ახლავა წარმოიდგინა, რა უბე-ღურებაც შეიძლებოდა მომხდარიყო.

ლაა ფეხზე ცი დაღდა. მაგრამ იმავე წამს მოწყვეტით ჩაფეხავა და დამნაშვევსკავით ჩაქინდრა თავი.

— ეპ, ლამის ჩემი ცივით წაწილო წყალმა და-შენც ლამის თან გაგიყოლიე... სიპ ქვავზე ამიკურდა ორი-ვე ფეხი და... იმერთმ წაიქციე. — თავის მართლება-სწვდა დაიწყო.

— შენ მხოლოდ ონდავ აგიკურდა ფეხი, იმან შეგა-შინდა და წაგაქცია. აკი გაგაფრთხილო, არ უნდა შეგე-შინდეს-შეიქვი. თუმცა, ეგეში ბრალისაა. იმერთმ წაიქე-ცი, რომ ახლო გედექი ქაივავად, მთლიანად ჩემს ამედად



იყავი. რაც იყო, იყო, გავეთილად გვექონდეს ეს. ახლა შენ იმ ბეჭობს მიფუარე, ყველაფერი მაგარად გაუწერე და ისე ჩაიცი. მე რიყე-რიყე დავეუყვები, იქნება შენი სახდლები სადმე ჭილეს გამოვლო.

ლეო მდინარეს ნაპირ-ნაპირ გაეკიდა და ოციოდე წუთში დაბრუნდა. სახდლები ხელში ეჭირა.

ლიას ტანსაცმლის გაწურვა-ჩაცმა მოესწრო და მზეზე იყო მიფიცხებული. ეტყობოდა, შიში ჯერ არ გახელეოდა, მაგრამ ამ შიშს ახლა სიამაყეც ერია, თავისებური გამარჯვების იერიც დაჰკრავდა.

უბოლოო ფერდობს აუყვენნ და, მაღალ გორაკს რომ დაადგეს ფეხი, ტანსაცმელი ორივეს გამოშალა ჰქონდა.

— ერთი აქედანაც გახვე-გამოხვედე ჩვენს მთებს, — ლეომ დურბინდი გადასცა ლიას. — აი, იმ მთაზე მივრეგებებიან ზაფხულობით ჩვენი და სხვა სოფლების ჯოჯებს, ხასხასა საძოვრებია იქ. დააკვირდი, არ ჩანს ნახირი?

— ნახირი, არა. ისე კი, სიღამაზე მოემატა ყველაფერს. ძალიან მინდა, იმ მთებზე ავიღე, ღრუბლების ზემოთ.

— მწელია, მაგრამ რაქი სურვილი გაგიჩნდა, მგეც რაღაცას ნიშნავს.

— საინტერესოა. ფერი რამდენია ღედამიწაზე?

— ბევრი, ძალიან ბევრი. ათასი, ათათასი, მილიონი. გინდა, თეთრ გვირილუმს უცებ გავალურჯებ, მერე გავამწვანებ, მერე გავაწითლებ, ყველაფერს გადავასხევაფერებ, ცასაც, მიწასაც. — ბიჭმა გოგოს ღურბინდი



გამოართვა და უმაღლე ჯიბეში ჩაიყო ხელი. — მა,

დაიძი! — გოგოს ხელისგულზე ბრეყვილა ეტყობოდა. შუშები დაუყარა: ლალისფერი, მწვანე, ლურჯი. აქი თელი, რუხი, შავი. — მაგ შუშებით გახვე ყველაფერი.

